ვეტერანებისათვის მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობაზე შეღავათის დაწესების პროგრამა

მუხლი 1. პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია ქალაქ რუსთავში მცხოვრები (რეგისტრირებული) ვეტერანებისთვის მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის გადასახადზე (ღირებულება 0,40 ლარი) შეღავათის დაწესება.

მუხლი 2. სამიზნე ჯგუფი და პროგრამით მოსარგებლეთა შერჩევის წესი

1.პროგრამის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ მოქალაქეები, რომლებიც ქალაქ რუსთავში მცხოვრები და რეგისტრირებული არიან არანაკლებ 2 (ორი) წლის განმავლობაში უწყვეტად (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ). და შესაბამისი უწყების მიერ მიღებული აქვთ ვეტერანის მოწმობა (სტატუსი) და ფიქსირდებიან სსიპ "ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის" მიერ მოწოდებულ ვეტერანთა სიაში.

2.მოსარგებლე პირთა შესაბამისობას განსაზღვრავს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური, სსიპ "ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურისა" და სსიპ "სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს" მიერ მოწოდებულ სიებზე დაყრდნობით.

3.პროგრამით გათვალისწინებულ პირთა რაოდენობა შეიძლება შეიცვალოს ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ბაზებში შესული ცვლილებების საფუძველზე.

4.გამონაკლისი ამ მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციასთან დაკავშირებით ვრცელდება იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე პირებზე, რომელთაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით, რეგისტრირებულ მისამართად უფიქსირდებათ - ქალაქი რუსთავი.

მუხლი 3. პროგრამის განხორციელების პერიოდი

პროგრამის განხორციელების ვადა განისაზღვრება 2018 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 4. განხორციელების მექანიზმები

1.ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური სს "ლიბერთი ბანკს" გაფორმებული შეთანხმების შესაბამისად აწვდის ინფორმაციას პროგრამით მოსარგებლეთა შესახებ, რის შემდეგაც ბანკი უზრუნველყოფს მათთვის მგზავრობისათვის საჭირო ელექტრონული ბარათების (City Pass საგადამხდელო ბარათების) დამზადებასა და გადაცემას, რისი მეშვეობით ბენეფიციარებს შეეძლებათ 2018 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით იმგზავრონ თვეში არაუმეტეს 60-ჯერ.

2.პროგრამით მოსარგებლეთა შესახებ ინფორმაცია განახლდება სსიპ "ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურისა" და სსიპ "სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს" მიერ მოწოდებულ ბაზებზე დაყრდნობით, რის შემდეგაც ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური სს "ლიბერთი ბანკიდან" მიღებული ინფორმაციის დამუშავების შემდეგ ახორციელებს ანგარიშსწორებას შპს "რუსთავის მუნიციპალურ ავტოტრანსპორტის საწარმოსთან".

მუხლი 5. პროგრამის ბიუჯეტი

1.ვეტერანებისათვის მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობაზე შეღავათის დაწესების პროგრამის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს ადგილობრივი ბიუჯეტი.

2.პროგრამის სრული ბიუჯეტია 27 000,00 (ოცდაშვიდი ათასი ლარი და 00 თეთრი) ლარი, მათ შორის 2017 წლის დეკემბრის ხარჯი შეადგენს 1 018.00 (ერთი ათას თვრამეტი ლარი და 00 თეთრი) ლარს.

3.პროგრამის მოსარგებლეთა რაოდენობა ყოველთვიურად შესაბამისობაში მოდის სსიპ "ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურისა" და სსიპ "სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს" მიერ მოწოდებულ ბაზებთან. ცვლილება, რომელიც შეიძლება შეეხოს პროგრამით მოსარგებლე პირთა რაოდენობას ზემოაღნიშნულ ბაზებთან შედარების შედეგად, ანგარიშსწორებისას შეიძლება აისახოს ბიუჯეტში გათვალისწინებული თანხის ოდენობაზე.

4.ვეტერანებისათვის მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობაზე შეღავათის დაწესების პროგრამის ბიუჯეტი კვარტალურად გადანაწილებულია შემდეგი სახით:

ბიუჯეტი	27 000,00 ლარი
I კვარტალი	8 625,00 ლარი
II კვარტალი	6 125,00 ლარი
III კვარტალი	6 125,00 ლარი
IV კვარტალი	6 125,00 ლარი

მუხლი 6. პროგრამის შედეგი

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში მცხოვრები (რეგისტრირებული) ვეტერანებისთვის მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობაზე შეღავათის უზრუნველყოფა.

მუხლი 7. პროგრამის შემდგენი და მის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სამსახური

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური.

ნინო ქვირია

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური
მომსახურების სამსახურის ხელმძღვანელი